



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

საკანონმდებლო სიასლექები

გურამ ჩალაგაშვილი
თვმჯდომარე
2008 წელი

2008 წლის საკანონმდებლო სიახლეები

საქართველოს პარლამენტმა ელექტორენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის სექტორში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება შეიტანა:

- მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ცნების შინაარსი შეიცვალა ასეთ სადგურად იწოდება ის ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 13 მეგავატს (7 მარტი, 2008 წელი)
- დაევალა კომისიას სასმელი წყლის მიწოდების და მოხმარების წესების შემუშავება 2008 წლის 1 ნოემბრამდე (5 ივლისი, 2008 წელი)
- 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ყველა ელექტროსადგური გამოცხადდა დერეგულირებულად (5 ივლისი, 2008 წელი)
- გაიზარდა კომისიის წევრთა რაოდენობა 5 წევრამდე (2 ოქტომბერი, 2008 წელი)

კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები

კომისიამ 2008 წელს ნაყოფიერად იმუშავა და 2008 წლის ნოემბრის მონაცემებით მიღებულია 30 ნორმატიული აქტი.

შედარებისთვის:

მაგ: 2007 წელს კომისიამ მიიღო 24 დადგენილება.

2008 წელს კომისიამ მიიღო შემდეგი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები

- **eleqtroenergiis (simZlavis) miwodebis da moxmarebis wesebi**
- **eleqtroenergetikis, bunebrivi gazis da wyalmomaragebis seqtorSi saqmianobis kontrolisa da licenzirebis wesebi**
- **eleqtroenergetikis, bunebrivi gazis da wyalmomaragebis seqtorSi regulirebis safasuris gaangariSebis da gadaxdis wesebi**
- **eleqtroenergiis gamanawilebel qselze axali momxmareblis mierTebis safasuris dadgena**
- **wyalmomaragebis tarifebis dadgenis meTodologia**
- **sasmeli wylis miwodebis da moxmarebis wesebi**

ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდების და მოხმარების წესები (18 სექტემბერი, 2008 წელი)

მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ელექტროენერჯის განაწილების, ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს და მომხმარებლებს შორის ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით დამტკიცდა ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდების და მოხმარების წესები თანდართული დანართებით

(„ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულება“, „მომხმარებელთა დაცვის შესახებ ინფორმაცია“, „მომხმარებლის დენმიმღების საორიენტაციო სიმძლავრის და ამ სიმძლავრის გამოყენების საანგარიშსწორებო ცხრილი“).

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და
წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა
და ლიცენზირების წესები
(18 სექტემბერი, 2008 წელი)

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების
სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესები
დამტკიცდა თანდართული დანართებით

(„ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების
სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები“, „ლიცენზირების
წესები“, „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ, ელექტროენერგეტიკისა
და ბუნებრივი გაზის სექტორში გასაცემი სალიცენზიო მოწმობის
ფორმა და მისი აღწერილობა“, „გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი
აღრიცხვის ფორმების ჩამოწერის წესი“)

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესები (18 სექტემბერი, 2008 წელი)

რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან:

ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზიატები, ასევე ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის მიმწოდებლები.

რეგულირების საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კალენდარული წლის განმავლობაში შესაბამისი რეგულირებადი საქმიანობიდან მიღებული მთლიანი ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,5 პროცენტს.

ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის დადგენა (18 სექტემბერი, 2008 წელი)

- გამანაწილებელი ქსელის 380-220 ვ ძაბვაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური 1 კვტ. მისაერთებელ სიმძლავრეზე დღგ-ს ჩათვლით განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
 - ა) 0 კვტ-დან და 6 კვტ-ის ჩათვლით-0 ლარი;
 - ბ) 6 კვტ-დან და 20 კვტ-ის ჩათვლით-20 ლარი;
 - გ) 20 კვტ-დან 50 კვტ-ის ჩათვლით-70 ლარი;
 - დ) 50 კვტ-დან 100 კვტ-ის ჩათვლით-120 ლარი;
 - ე) 100 კვტ-დან ზევით-170 ლარი.

წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია (29 აგვისტო, 2008 წელი)

- „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 20 ნოემბრის კანონით ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, კომისიას მიენიჭა სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის სფეროში სატარიფო რეგულირების ფუნქცია და დაეკისრა 2008 წლის 1 სექტემბრამდე წყალმომარაგების ტარიფის მეთოდოლოგიის დამტკიცება.
- ტარიფის დადგენის მეთოდოლოგია ითვალისწინებს საქართველოში წყალმომარაგების სექტორის დღევანდელ ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ფინანსურ მდგომარეობას და ეფუძნება წყალმომარაგების სრული ღირებულების პრინციპს. მან უნდა უზრუნველყოს წყალმომარაგების განსახორციელებლად გაწეული ეკონომიურად მიზანშეწონილი ხარჯების ზუსტი ასახვა ტარიფში.

სასმელი წყლის მიწოდების და მოხმარების წესები (26 ნოემბერი, 2008 წელი)

სასმელი წყლის მიწოდების და მოხმარების წესები წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით სასმელი წყლის ყიდვის, გაყიდვის, მიწოდების და მოხმარების დროს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისიის წევრთა რაოდენობა 1997 წლიდან 2008 წლამდე განისაზღვრებოდა 3 წევრით;

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 2 ოქტომბრის ცვლილებების თანახმად, კომისიის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 5 წევრამდე და შესაბამისად კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის წევრთა

არანაკლებ 3 წევრის თანხმობით.



გმადლობთ ყურადღებისათვის